



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 30 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №76/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 23 აპრილის №76 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 3 ივნისს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ 2013 წლის 9 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას ხდის სადავოდ.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს 2013 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -- -- სარჩელი; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 7 მაისს ნოტარიუს -- -- მიერ დამოწმებული №-- და №-- სამკვიდრო მოწმობა -- -- დანაშთ ქონებაზე -- -- სახელზე 1/2 ნაწილში სამკვიდროს მიღების თაობაზე; -- -- სამკვიდრო დანაშთ ქონებაზე საკუთრების უფლებით აღირიცხა -- და -- -- სახელზე; სხვა ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 3 ივნისის დასკვნა:

დისციპლინურ საქმეზე №76/19 -- -- 2019 წლის 23 აპრილის №-- საჩივრი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (დისციპლინური ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო), არსებობს მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველი (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად¹ შეიცვალა ხანდაზმულობის ვადები. თუ 2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი

¹ საქართველოს 2019 წლის 13 დეკემბრის ორგანული კანონი №5569 – ვებგვერდი, 25.12.2019წ.

რედაქციით მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასული იყო 5 წელი, 2020 წლის 01 იანვრიდან მოქმედი რედაქციის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი“.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია, რადგანაც დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება განუხორციელებელია. ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოებისათვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში.

ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის გარემოებების სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ, ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). ორგანული კანონის ზემოაღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 3 ივნისის დასკვნის თანახმად, -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- განჩინება მიიღო 2013 წელს, ხოლო საჩივარი წარმოდგენილი იყო 2019 წელს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად დადასტურებულია, რომ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე (საჩივრის წარმოდგენამდე) გასული იყო 3 წელი, რის გამოც, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2019 წლის 23 აპრილის №76 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი